სენაკის რაიონული სასამართლოს
საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. სენაკი 29 ივნისი, 2015 წ.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **ლევან ნუცუბიძე**.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **დარეჯან კვარაცხელია** - სენაკის რაიონული სასამართლის მაგისტრატი მოსამართლე მარტვილის მუნიციპალიტეტში;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

ინდირა მაშანეიშვილი - სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
ნათია ბოჯგუა - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ადვოკატი;
მარინა მეგრელიშვილი - საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის წევრი;
სალომე კუპრავა - საკონკურსო საატესტაციო კომისიის მდივანი

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხი :

1. სენაკის რაიონული სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება.
2. კონკურსის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა.

1. კომისიის წევრებმა მოისმინეს ლევან ნუცუბიძის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კონკურსს ექვემდებარება შემდეგი საშტატო თანამდებობები:

სენაკის რაიონულ სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
	საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება	
1	სხდომის მდივანი	1
2	ქსელის ადმინისტრატორი	1

აბაშის მაგისტრატ სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია

1	სპეციალისტი	1

2. კომისიის წევრებმა მოისმინეს ლევან ნუცუბიძის ინფორმაცია, კონკურსის ჩატარების პროცედურების თაობაზე, რომლის თანახმადაც სასურველია:

- კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
- კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
- კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2015 წლის 30 ივნისს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 09 ივლისი.
- სენაკის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა - სენაკის რაიონულ სასამართლოში კონკურსის გამოცხადების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. სენაკის რაიონულ სასამართლოში გამოცხადდეს კონკურსი აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე;
2. კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან;
4. კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
6. საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2015 წლის 30 ივნისიდან, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 09 ივლისი.

კომისიის თავმჯდომარე
ლევან ნუცუბიძე -

თავმჯდომარის მოადგილე
დარეჯან კვარაცხელია -

კომისიის წევრი
ინდირა მაშანეიშვილი -

კომისიის წევრი
ნათია ბოჯგუა -

კომისიის წევრი
მარინა მეგრელიშვილი -

მდივანი
სალომე კუპრავა -